საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-81

25/01/2019

ქ. თბილისი

ზემო იმერეთის რეგიონში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის კმ. 10.6 - კმ 20.6 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-12 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ზემო იმერეთის რეგიონში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის კმ. 10.6 - კმ 20.6 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა №3 (15.01.2019);
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის №3 (15.01.2019) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და საჩხერის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი